

Davos²⁰¹⁸ Declaration

Conference of Ministers of Culture
20 – 22 January 2018, Davos Switzerland

დავოსის დეკლარაცია 2018

კულტურის მინისტრების კონფერენცია

20-22 იანვარი, 2018, დავოსი შვეიცარია

მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის ევროპული ხედვა

21-ე საუკუნის პირველ დეკადაში ევროპა ძალიან მრავალფეროვანია. კონტინენტის ტრადიციული და ბუნებრივი მრავალფეროვნება ძველებურად ზეგავლენას ახდენს ჩვენს საზოგადოებაზე, დასახლებებსა და ლანდშაფტზე. გლობალურად მომატებული კულტურული გაცვლები ზრდის ევროპის ინოვაციურობისა და კრეატიულობის პოტენციალს. თუმცა, მიუხედავად ეკონომიკური, საზოგადოებრივი და პოლიტიკური განსხვავებულობისა, აშკარაა შემაშფოთებელი ტენდენცია ევროპის განაშენიანებული გარემოს მიმართულებით, როგორც კულტურული ლანდშაფტები, სოფლები და ქალაქები: მათი ხარისხი სადავოა. მაშინ, როცა ისტორიული ქალაქების და სოფლების ცენტრები და სხვა კულტურული მემკვიდრეობის საიტები საკამოდ კარგადაა დაცული, და თანამედროვე არქიტექტურის და სამოქალაქო საინჟინრო ნაგებობის საოცარი ნიმუშები შენდება მთელი ევროპის მასშტაბით, სხვაგან კი გარემოს განაშენიანებისადმი ტრივიალისტური მიდგომა შეინიშნება.. ყოველდღიურ ევროპას თანდათანობით იპყრობს არასახარბიელო/უმსგავსო ურბანული სივრცე. ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ბევრი ძეგლი იკარგება ისეთ სივრცეში, როგორცაა ინფრასტრუქტურული ტერიტორიები, სავაჭრო ცენტრები და სამრეწველო ზონები, გარეუბნები, რომლებიც თავის დროზე თითქოს დაიგეგმა, თუმცა სათანადოდ შემუშავებული დიზაინის გარეშე ან საცხოვრებელ ტერიტორიაზე, რომელიც მოკლებელია შთამაგონებელ დიზაინს ეს პრობლემა არა მხოლოდ ქალაქში, არამედ სოფლადაც ვლინდება.

მშენებლობის ფართო მასშტაბის გამო, კულტურას ნაკლები ყურადღება ექცევა ოხლო უფრო დიდი ინტერესი ეთმობა ტექნიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებს ეს თავისთავად უარყოფით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე, რადგან განაშენიანებული გარემოს ხარისხი სერიოზულად მოქმედებს მისი მოსახლეობის კეთილდღეობასა და ცხოვრების ხარისხზე. ეს ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალური ინტეგრაციისა და ერთობისთვის, კრეატიულობისა და ადგილთან იდენტიფიცირებისთვის. სწორედ ამიტომ, მშენებლობა არის კულტურადა ასევე ქმნის სივრცეს კულტურისთვის და სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით სწრაფი გლობალური ცვლილებების ფონზე, კულტურის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ უნდა მიენიჭოს უმთავრესი როლი განაშენიანებული გარემოს განვითარებისა და შეფასების პროცესში. სწორედ ახლა მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის ევროპული პოლიტიკის ჩამოყალიბების დროა.

მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის ევროპულ ხედვად განისაზღვრება მთლიანად განაშენიანებული გარემოს ხარისხი, როგორც სტრატეგიული მოთხოვნა. კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვე ნიმუშები ქმნიან ცალკეულ ერთეულს, სადაც კულტურული მემკვიდრეობა უნდა იყოს დაცული და შენარჩუნებული, და ისტორიული ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და საჯარო სივრცის გამოყენება უნდა განხორციელდეს სივრცის მუდმივი ტრანსფორმირებისა და პროგრესირებისთვის. მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა ეხება არა მარტო მსგავსი მიდგომის შედეგს, რაც წარმოადგენს რეალურ კონსტრუქციას, არამედ პროცესებსაც, რომელსაც მივყავართ ამ შედეგებამდე.

სწორედ ამიტომ, 2018 წლის კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წლის კონტექსტში შვეიცარია გამოვიდა ინიციატივით წინ წამოსწიოს უმაღლესი ხარისხის მშენებლობის კულტურის მნიშვნელობა/როლი ევროპული საზოგადოებისთვის. ამ მიზნით მოიწვიეს კულტურის მინისტრთა არაფორმალური კონფერენცია, სადაც მონაწილეობდნენ ევროპის კულტურის კონვენციის წევრი სახელმწიფოების და ევროპის საბჭოს დამკვირვებელი სახელმწიფოების კულტურის მინისტრები. კონფერენციაზე ხაზი გაესვა მშენებლობის კულტურისადმი კომპლექსური მიდგომის აუცილებლობას, როგორც საერთო პასუხისმგებლობას, და ასევე ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში განაშენიანებული გარემოს გაუმჯობესების გადაუდებელ აუცილებლობას. მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა უზრუნველყოფს ცხოვრების ხარისხს ევროპაში, სოციალური ინტეგრაციის, კეთილდღეობისა და ამტანობას.. იგი ხელს უწყობს ძლიერი და შერეული სამეზობლოს ჩამოყალიბებას, იცავს გარემოს და ქმნის პოზიტიურ ეკონომიკურ სარგებელს.

შინაარსი

1. საერთო პრობლემები და გლობალური ტენდენციები	4
2. კულტურის ცენტრალური როლი საზოგადოებისთვის	7
3. "ხარისხი", როგორც სტრატეგიული მოთხოვნა.....	9
4. მშენებლობის კულტურის კონცეფცია	12
5. უმაღლესი ხარისხის მშენებლობის კულტურა, როგორც საერთო პასუხისმგებლობა	13
6. მოწოდება მოქმედებისთვის: დავოსის დეკლარაცია 2018	14
7. დანართი: აშენებულ გარემოსთან დაკავშირებული საერთაშორისო პოლიტიკა	16

1 საერთო პრობლემები და გლობალური ტენდენციები

ურბანიზაცია და სოციალური ცვლილება

ევროპული დასახლებები და ლანდშაფტები ხასიათდება მშენებლობის მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურით, რომელიც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა. მისი გეოგრაფიული კლიმატური პირობებისა და პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური გარემოებების გამო, რამაც ევროპა ჩამოაყალიბა, ევროპას ახასიათებს განსხვავებული, რეგიონისთვის დამახასიათებელი თვისებები. მასობრივმა ელექტროფიკაციამ, რომელიც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო და მასთან დაკავშირებულმა დასახლებების განვითარებამ მკვეთრად შეცვალა ლანდშაფტი. ბევრ ურბანულ სივრცეში გამოჩნდა შუალედური ზონები, რომელსაც მოჰყვა მჭიდროდ დასახლებული საცხოვრებელი რაიონების გაჩენა ინფრასტრუქტურული და ფუნქციური შენობების მაღალ ინტენსივობის თანხლებით. ბევრი დასახლება ხასიათდება ფრაგმენტული საჯარო სივრცეებით, ფართომასშტაბიანი კომერციული რაიონებით და მოზღვავებული საცხოვრებელი სახლებით, რის შედეგად ხშირად ძნელია მათი ცენტრების ამოცნობა. მე-20 საუკუნის დასაწყისში სტანდარტიზაციამ და მასობრივმა წარმოებამ მნიშვნელოვნად შეცვალა მშენებლობა. სამშენებლო ინდუსტრია სულ უფრო ხშირად მიმართავს მზა გადაწყვეტილებებს, რომელიც ფორმალური ლექსიკის სტანდარტიზაციას და ხშირად გამარტივებას ახდენს და ასუსტებს რეგიონალურ იდენტობას.

ვინაიდან დიდი ქალაქები და დედაქალაქთან დაკავშირებული ზონები ამჟამად ზრდისა და განახლების პროცესში არიან, იზრდება შემფოთება მცირე და საშუალო ზომის ქალაქებსა და სოფლებზე. ამ ტერიტორიების გარკვეული ნაწილი მარგინალიზებულია, მიგრაციისა და ეკონომიკური ცვლილების გამო. მზარდი პოლარიზაცია აძლიერებს უთანასწორობას. ბევრი ამ რეგიონიდან იძულებულია ემიგრირდეს, რაც იწვევს ზედმეტი სახლებისა და თავისუფალი საცხოვრებლების დიდი რაოდენობით არსებობას. სამუშაოს დაკარგვა და დაფინანსების ნაკლებობა ხელს უშლის საბაზისო მიწოდებასა და მოვლა-პატრონობას. მთელი რეგიონები განიცდიან ეკონომიკურ სტაგნაციას ან შემცირებას, რამაც გამოიწვია გარიყულობის განცდა. სოციალური და ეკონომიკური პოლარიზაციის ზრდამ ხელი შეუწყო პოლიტიკური ექსტრემიზმის და პოპულიზმის ჩამოყალიბებას.

გრძელდება ურბანულ ცენტრებსა და დედაქალაქთან დაკავშირებულ ზონებში ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ძალაუფლების დაგროვება. ამჟამად, ევროპის მოსახლეობის 73% ცხოვრობს ურბანულ რაიონებში და 2050 წლისთვის ურბანიზაცია დაახლოებით 80%-ს მიაღწევს, თუმცა რეგიონალური ცვლილებებით. ეს ურყევი ურბანიზაცია აძლიერებს ქალაქების დომინანტურ როლს. ევროპის ქალაქებში დასაქმების შესაძლებლობებისა და უმაღლესი განათლების ინსტიტუტების კონცენტრაცია უფრო მიმზიდველს სამუშაო ასაკში მყოფი მაცხოვრებლებისთვის, რაც იწვევს ურბანული ცხოვრების რენესანსს. უძრავი ქონების და საცხოვრებლების მზარდი მოთხოვნა მუდმივად ზრდის ფასებს, რის შედეგადაც უძრავი ქონების ბაზრის გადაჭარბებული სახეცვლილება და საერთაშორისო ღირებულების გაზრდა იწვევს არსებული მაცხოვრებლების გარიყვას. ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ქალაქები შეიძლება გახდეს ძალიან ძვირი. შედეგად, ქალაქებს შორის უთანასწორობა იზრდება სეგრეგაციისა და პოლარიზაციის გზით.

მიუხედავად იმისა, რომ გლობალურად მოსალოდნელია მოსახლეობის ზრდა 2050 წლისთვის, რაც მიაღწევს 9.7 მილიარდს, ყველაზე მაღალი ზრდის ტემპებით აზიასა და აფრიკაში, ევროპის მოსახლეობა მოსალოდნელია, რომ ოდნავ შემცირდება, რეგიონებს შორის განსხვავების შესაბამისად. გლობალური მოსახლეობის ზრდა და მასთან დაკავშირებული გლობალური ეკონომიკური ეფექტები გამოიწვევს რესურსების დეფიციტს, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ძალაუფლების გლობალურ ბალანსში ცვლილებებს. გაერო პროგნოზირებს, რომ ეს ყველაფერი კლიმატის ცვლილებებთან ერთად გამოიწვევს გლობალური მიგრაციის ზრდას, სოფლის დაცლას და ხალხის გადაადგილებას პოლიტიკური კონფლიქტის მიზეზით, რაც იწვევს გლობალური მიგრაციის შემდგომ გაღრმავებას ევროპაზე ძლიერი დარტყმის თანხლებით.

დემოგრაფიული ცვლილება, მობილობის ზრდა და ახალი სოციალური მოდელები და ქცევები გავლენას მოახდენს შენობების, ქალაქებისა და ინფრასტრუქტურის მოთხოვნებზე და ინფრასტრუქტურის სამომავლო დაგეგმარებაზე. ადამიანების საშუალო რაოდენობა თითოეულ საცხოვრებელში შემცირებულია. ტრადიციული ოჯახის მოდელის ცენტრალური როლი ზეწოლის ქვეშ იმყოფება. ხანდაზმულთა რაოდენობა იზრდება, როგორც მოსახლეობის ჯგუფების ფრაგმენტაცია. ცვლილებებმა ტურისტულ ქცევებში და კერძოდ, ქალაქის ტურიზმის ზრდამ, გამოიწვია ტურისტების მუდმივი ნაკადი ევროპის ქალაქებში. ამას აქვს დამატებითი ეკონომიკური ღირებულების დადებითი ეფექტი, მაგრამ მეორე მხრივ, მოაქვს ნეგატიური შედეგები ადგილობრივი მოსახლეობისთვის მათი სივრცის გამოყენებისა და ორგანიზების კუთხით.

გაციფროვნება

დაიწყო მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია. გლობალურ ქსელში ვირტუალური და ფიზიკური მოწყობილობების ურთიერთკავშირის ხედვა "Internet of Things" (IoT), უკვე ფაქტია. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და გაციფროვნება ცვლის ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას, სამომხმარებლო საქმიანობას და სოციალურ ქცევას. ხელოვნური სურათები და ვირტუალური რეალობები გავლენას ახდენს ფიზიკური საცხოვრებელი გარემოს აღქმაზე. ამან შეიძლება გამოიწვიოს დამახინჯებული იდეალების ჩარევა რეალურ სამყაროში, მსოფლიოს გლობალურად მსგავს, აბსტრაქტულ გამოსახულებებად გარდაქმნის გზით ციფრული მედია ასევე გავლენას ახდენს რეალურ "ყოფით სივრცეზე". ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს ჩვენს ფიზიკურ გარემოზე: კულტურული ფასეულობებზე, როგორცაა ავთენტურობა და ისტორიული ორიგინალობა, რამაც შეიძლება დაკარგოს მნიშვნელობა უფრო სტანდარტიზებული გამოსახულებების და ხედვის გამო. შენობა და მშენებლობა დამოკიდებულია გლობალურ ტენდენციებზე. სოციალური ქსელები აღარ უკავშირდება კონკრეტულ ფიზიკურ ადგილებს. მეთოდი, რომელსაც ადამიანები იყენებენ და მისი საშუალებით ახდენენ იდენტიფიცირებას თავის საცხოვრებელ ადგილებთან, იცვლება გლობალური ციფრული სივრცის გამო. ქალაქის ცენტრებისა და სოფლების ფუნქცია, როგორც ცენტრალური საჯარო სივრცე, ადამიანთა მრავალფეროვნებით და ფუნქციებით, ასევე იცვლება. იმავდროულად, ავთენტურობის ემოციური და სოციალური მოთხოვნილება ეყრდნობა კულტურული და ბუნებრივი მრავალფეროვნების გამოცდილების შესახებ მზარდ ინტერესს (ხშირად ტურისტული).

გლობალური ურთიერთკავშირი, ღია და ხელმისაწვდომი, და გაზიარებული ინფორმაცია და მონაცემები, ასევე ქმნის შესაძლებლობებს. ევროპის საბჭოს "მოქალაქეთა ინტერნეტი" კონცეფცია არის ხალხზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს ყველას ჩართვას ციფრულ

კულტურაში. ახალი ციფრული გარემო ხელს უწყობდეს საზოგადოებისთვის კულტურის ხელმისაწვდომობას მონაწილეობისთვის და ამით ამტკიცებდეს დემოკრატიას.

ახალი შენობების, დასახლებებისა და ღია ლანდშაფტების შექმნა ან ძველი და არსებული ადგილების რეკონსტრუქცია ან შეცვლა, გაცილებით მარტივია ახალი ტექნოლოგიების წყალობით. დაფინანსების ახალი მოდელები, როგორცაა სახალხო დაფინანსება, აძლიერებს მონაწილეობას. სოციალურმა ურთიერთობებმა დაბალკვალიფიციური საკომუნიკაციო არხების საშუალებით შეცვალა მონაწილეობა დაგაზარდა საზოგადოების ცნობიერება განაშენიანებულ გარემოზე, რაც საშუალებას მისცემს დებატების, მონაწილეობისა და განმარტების ახალი ფორმების ჩამოყალიბებას.

გაციფროვნება ასევე აისახება სამშენებლო მასალებსა და ტექნიკაზე, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს შენობების დიზაინსა და გარეგნობაზე. ციფრული პროგრამები, როგორცაა BIM (სამშენებლო საინფორმაციო მოდელირება) და "კონსტრუქციის კრაფტინგი" (სამშენებლო ბექდვის ტექნოლოგია) განსაზღვრავს საპროექტო პროცესს და, შესაბამისად, მომავალი კონსტრუქციების განლაგებას და ვიზუალს. ინტელექტუალური შენობები დიდწილად ურთიერთდაკავშირებული ტექნოლოგიებით შეიძლება განვითარდეს ახალი მშენებლობის ტიპოლოგიის სახით.

კლიმატის ცვლილება და გარემოს დაზიანება

კლიმატის ცვლილება არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა საყოფაცხოვრებო გარემოსთვის. გლობალური დათბობა გამოიწვევს ზღვის დონისა და მუდმივი თოვლის საფარის ზრდას. კლიმატური ცვლილებები დაჩქარებულია და ხშირია სტიქიური უბედურებები. დატბორვა, მეწყერი და ეროზია უფრო ხშირია და რეგიონებში დაზარალებულები მოითხოვენ დამატებითი უსაფრთხოების ზომების მიღებას, რაც გავლენას მოახდენს ღია ლანდშაფტებსა და დასახლებებზე. ექსტრემალური ამინდები მომატებულია და ნალექიანობაც იცვლება. ქალაქები ზარალდებიან სიციხისაგან და დატბორვისგან. კლიმატური ცვლილები განსაკუთრებულად იგრძნობა სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, ენერგეტიკული მართვისა და ტურიზმის სფეროებში.

CO₂- ის ემისიების შემცირება და ასევე საწვავზე დამოკიდებულება უფრო მეტად განიხილება როგორც კლიმატის ცვლილების გამომწვევი ფაქტორები. ბევრმა ქვეყანამ ყურადღება გაამახვილა განახლებადი ენერჯის წყაროებზე. განახლებად ენერჯიაზე გადასვლა გულისხმობს დასახლებებისა და ღია ლანდშაფტების ფუნდამენტურ ცვლილებებს. საწვავის არ გამოყენების გარდა, არის კომპაქტური დასახლებების და კარგად იზოლირებული შენობების პრინციპზე გადასვლა, რომლებიც ნაკლებ ენერჯიას იყენებენ. ინტეგრირებული სისტემები, რომელიც საშუალებას აძლევს ნულოვანი ემისიის მშენებლობას, გვადლევს შესაძლებლობას ახალი და არსებული შენობებისთვის შეიქმნას ახალი დიზაინი. თუმცა ენერგორენტაბელურობა და პროგრამები საფრთხეს უქმნის კულტურული მემკვიდრეობის აქტივებს, და ახალი კონსტრუქციების დიზაინის ხარისხი შეიძლება გაუფასურდეს, თუ მშენებლობის ენერგეტიკული ასპექტები კულტურული ფასეულობების თვალსაზრისით არ არის მისაღები.

დიდი პროგრესი განხორციელდა ევროპის მასშტაბით უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე გარემოს ცვლილებების შესამცირებლად. მიუხედავად ამისა, ხელისშემშლელი ფაქტორები კვლავაც შეინიშნება, მათ შორის ბიომრავალფეროვნების მუდმივი შემცირება და ჰაერის, წყლისა და ნიადაგის მიკროპროტექტორების ზრდა, რაზეც სამშენებლო საქმიანობა ნაწილობრივ პასუხისმგებელია.

გლობალურ ტენდენციებზე რეაგირება გულისხმობს იმ გამოწვევებს, რომლებიც გავლენას მოახდენს მომავალში ევროპაში განაშენიანებული გარემოს დიზაინზე, ისევე როგორც ქვეყნებსა და ღირებულებებზე, ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა დონეზე. ამ გამოწვევების წინაშე დადგა სხვადასხვა გლობალური და ევროპული ინიციატივები. განაშენიანებული გარემო, ხშირად განსაკუთრებული აქცენტით ქალაქებზე, არის საყოველთაო დისკუსიის და განვითარების საგანი. ისეთი საკითხები, როგორცაა სიღარიბისა და უთანასწორობის აღმოფხვრა, ეკონომიკური კეთილდღეობა, უსაფრთხოება, კატასტროფების რისკის შემცირება, მობილურობა, ენერგომოხმარება - მოკლედ, მდგრადი და ყოვლისმომცველი გარემოს შექმნა - გათვალისწინებულია მრავალ საერთაშორისო სტრატეგიაში, პროგრამებსა და პროექტებში. შესაბამისი დოკუმენტები მიბმულია დანართში.

2 კულტურის ცენტრალური როლი საზოგადოებისთვის

კულტურა არის "საზოგადოების ან სოციალური ჯგუფის გამორჩეული სულიერი, მატერიალური, ინტელექტუალური და ემოციური თვისებები და ... ხელოვნებისა და ლიტერატურის გარდა, მოიცავს ცხოვრების წესს, თანაცხოვრების საშუალებებს, ღირებულებებს, ტრადიციებსა და შეხედულებებს". აყალიბებს ადამიანის იდენტობას და განსაზღვრავს მათ მემკვიდრეობას. კულტურის გარეშე შეუძლებელია კაცობრიობა, რაციონალობა, კრიტიკული გადაწყვეტილება და მორალური ვალდებულება. კულტურა არის დამაკმაყოფილებელი ინტელექტუალური, ემოციური, მორალური და სულიერი არსებობის საფუძველი.

კულტურა ხელს უწყობს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოს ცვლილებას. კულტურის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული და მშვიდობიანი მდგრადი განვითარება. კულტურა აღიქმება მდგრადობისა და მდგრადი განვითარების მთავარ კომპონენტად. **2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი** ასახავს კულტურის ცენტრალურ როლს მდგრადი განვითარების მიზნებისთვის (SDGs) და მიზანი N 11 პირდაპირ ეხება ამას. საჭიროა ადამიანის განვითარების მიმართ სერიოზული მიდგომა კულტურის დაფასებითა და გამოყენებით. კულტურა აღიქმება, როგორც "ღირებულებების და რესურსების სისტემა, რომლის ფარგლებში ხორციელდება ჭეშმარიტად მდგრადი განვითარება, იკვეთება წარსული თაობების გამოცდილებისა და კულტურის აღიარების საჭიროება, როგორც გლობალური და ადგილობრივი რესურსების ნაწილი, ასევე შემოქმედებითობისა და განახლების შთამაგონებელი".

ისტორიული ურბანული ტერიტორიების განსაკუთრებული ღირებულება ხაზგასმულია UNESCO-ს რეკომენდაციაში ისტორიული ურბანული ლანდშაფტის (HUL) შესახებ. იგი აღიარებს კულტურულ მემკვიდრეობას, ძირითადად ქალაქებში, როგორც ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვან ხელშემწყობად, რომელიც ასევე ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას და ცვალებად გლობალურ გარემოში სოციალური ინტეგრაციის გაძლიერებას. თუმცა, სწრაფი და არაკონტროლირებადი ურბანიზაცია სერიოზულ ზიანს აყენებს ისტორიულ ურბანულ ლანდშაფტს. ამან შეიძლება გამოიწვიოს სოციალური და სივრცითი ფრაგმენტაცია და დააზიანოს როგორც ქალაქის, ისე სოფლის ხარისხი.

გაეროს განსახლების პროგრამამ, გაეროს ადამიანთა დასახლებების ცენტრმა (ჰაბიტატი), 2016 წელს **ჰაბიტატის III** კონფერენციის ფარგლებში დაამტკიცა ახალი ურბანული დღის წესრიგი,

რომელიც ხაზს უსვამს ზოგადად მდგრადი განვითარების მიზნებს და ყურადღებას ამახვილებს მმართველობის, სოციალური ინტეგრაციისა და გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე. დღის წესრიგი "აცნობიერებს, რომ კულტურა და კულტურული მრავალფეროვნება კაცობრიობის გამდიდრების წყაროა და მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქალაქების, დასახლებებისა და მოქალაქეების მდგრადი განვითარების საქმეში, და უბიძგებს მათ აქტიური ჩართულობისკენ განვითარების ინიციატივებში".

ბოლო წლებში ევროპულ დონეზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა და მისი შენარჩუნება კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა, როგორც მნიშვნელოვანი სოციალური ფაქტორი. 2000 წელს მიღებული ევროპის საბჭოს **კონვენციაში ევროპული ლანდშაფტის შესახებ**, ლანდშაფტი, როგორც ევროპული იდენტობისა და მრავალფეროვნების ამსახველი, იქნება ეს ჩვეულებრივი თუ საუცხოო, ურბანული თუ სასოფლო, მიწაზე თუ წყალში, არის ცოცხალი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა. 2005 წლის ფაროს ჩარჩო კონვენცია კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ კულტურულ მემკვიდრეობას განსაზღვრავს, როგორც კულტურული მრავალფეროვნების და საზოგადოების, ეკონომიკისა და გარემოს მდგრადი განვითარების ხელშემწყობს.

კულტურული მოთხოვნები ასევე მზადდება ევროპულ დონეზე თანამედროვე დაგეგმვასა და მშენებლობასთან მიმართებაში. ევროკავშირი აღიარებს მაღალი ხარისხის განაშენიანებული გარემოს მნიშვნელობას მდგრადი ქალაქისთვის და ამტკიცებს ამას ევროკავშირის საბჭოს ორი რეზოლუციის სახით. ორივე ტექსტი მოითხოვს გაიზარდოს ზრუნვა არქიტექტურის ხარისხზე, რაც უზრუნველყოფს ქალაქების მდგრადობას, მათი კულტურული მემკვიდრეობის გაფრთხილებას.

განაშენიანებულმა გარემომ უნდა უზრუნველყოს კარგი, უსაფრთხო და ჯანსაღი საცხოვრებელი პირობები და კულტურული გარემო, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას. კულტურული გარემო მოიცავს ისტორიის მანძილზე დაგროვებულ ადამიანის აქტივობის ყველა ანაბეჭდს ფიზიკურ გარემოზე. კულტურული გარემო მოიცავს სივრცის კონტექსტს, რაც შეიძლება შეიცავდეს ობიექტებს/ნივთებს, მაგრამ ასევე შეიძლება მოიცავდეს ისეთ უხილავ ასპექტებს, როგორცაა ტრადიციები, პრაქტიკა, ცოდნა და უნარები. საზოგადოებრივი კულტურული გარემოს მართვა მოიცავს ორგანიზებულ პროცესებს, რომელიც უვლის თანამედროვე საზოგადოების კულტურულ გარემოს. ყველას, ნებისმიერი წარსულის მიუხედავად, აქვს უფლება მიეკუთვნოს ამ კულტურულ გარემოს. ეს მოითხოვს ერთდროულად სხვადასხვა დონეზე სექტორულ თანამშრომლობას და მმართველობას, სადაც ყველა დაინტერესებული მხარე პასუხისმგებელია მრავალფეროვანი კულტურული გარემოს უზრუნველყოფაზე ხარისხიანი სივრცის ფარგლებში, რაც ყველასათვის ხელმისაწვდომია.

3 "ხარისხი", როგორც სტრატეგიული მოთხოვნა

მშენებლობა ემსახურება მხატვრულ, ესთეტიკურ, კულტურულ და სოციალურ და ასევე ეკონომიკურ და ტექნიკურ მიზნებს. მიზანია გრძელვადიანობის, უსაფრთხოების, კომფორტის და ჯანმრთელობის გარანტია, ხოლო, მეორე მხრივ, ხალხის დაახლოება, მათთვის კეთილდღეობის განცდის შექმნა და სოციალური ინტეგრაციის ხელშემწყობა. მშენებლობა ქმნის სივრცეს, რომელშიც ვხვდებით სხვებს. მომხიბვლელი, მრავალფეროვანი და ინკლუზიური ქალაქები,

სოფლები და ლანდშაფტები მხოლოდ იმ შემთხვევაში ცოცხლდება, თუ მშენებლობის ყველა ასპექტი მაღალი ხარისხის მოთხოვნას ექვემდებარება.

მაღალი ხარისხის მშენებლობა მნიშვნელობას სძენს ჩვენს საცხოვრებელ გარემოს. ამ შემთხვევაში მაღალი ხარისხი არ ეხება მხოლოდ განაშენიანებული გარემოს გარეგნულ სიმდიდრეს, არამედ შექმნისა და დიზაინის პროცესების ხარისხს და მშენებლობის პროცესში ჩართული ყველა წევრის შესაძლებლობებსა და კომპეტენციებს. როგორც მდგრადი განვითარების კონცეფცია, ეს მოთხოვნა ხარისხის შესახებ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს განაშენიანებულ გარემოს სოციალურ ფუნქციას. დამატებითი ღირებულება, რომელიც მაღალი ხარისხითაა განპირობებული, პირველ რიგში, ფართო სოციალური ზემოქმედებისკენ მიისწრაფვის და შესაბამისად, ეკონომიკური მნიშვნელობისაა. მაღალი ხარისხის წარმატებით შესრულება იზომება შემდეგი დადებითი ფაქტორების მიხედვით:

ფუნდამენტური ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარდა, განაშენიანებული გარემო ასევე აყალიბებს ჩვენი ცხოვრების ხარისხს. მაღალი ხარისხის წინანდელმა დიზაინმა შეიძლება გააუმჯობესოს ეს უკანასკნელი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სუბიექტური კეთილდღეობის საქმეში, რაც მოიცავს ადამიანის ფსიქოლოგიურ, ე.ი. შემეცნებით, ემოციურ, სოციალურ და, რა თქმა უნდა, კულტურულ საჭიროებებს. აქედან გამომდინარე, მაღალი ხარისხის განაშენიანებული გარემოსთვის მნიშვნელოვანია გარემოს ფსიქოლოგიის ასპექტების გათვალისწინება და თითოეული ადამიანის დამოკიდებულების დაფიქსირება გარემომცველ სივრცესთან, მათი ურთიერქმედება, ინფრასტრუქტურული ობიექტების, შენობების, ქალაქების, სოფლებისა და ლანდშაფტების შექმნის მიზნით.

განაშენიანებულ გარემოს გარეგნულ სახეს დიდი მნიშვნელობა აქვს მისი სოციალური ფუნქციის თვალსაზრისით. განლაგება და დიზაინი, რომელიც ითვალისწინებს მომხმარებელთა კონკრეტულ საჭიროებებს, ხელს უწყობს მათ დაკავშირებას განაშენიანებულ გარემოსთან, აძლიერებს სოციალურ ინტეგრაციას და, შესაბამისად, არ იწვევს გაუცხოებას. საზოგადოებრივი სივრცე, როგორც საერთო სარგებლობისა და ურთიერთქმედების ადგილი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური ინტეგრაციის თვალსაზრისით და აქედან გამომდინარე, უნდა დარჩეს საზოგადოებრივ სივრცედ. ამ სივრცის მაღალი ხარისხი და მისი ხშირი გამოყენება ხელს უშლის რომელიმე ჯგუფს მიითვისოს ის, და ასევე აძლიერებს მის უსაფრთხოებას.

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართული მოსახლეობის ჩათვლით, იგი ხელს უწყობს თემების იდენტიფიცირებას მათ განაშენიანებულ გარემოსთან და აძლიერებს საერთო პასუხისმგებლობის განცდას საკუთარი გარემოს მიმართ; მეორე მხრივ, ის ასევე მოითხოვს მოსახლეობისგან, იცოდეს ხარისხის და კონსტრუქციის გარჩევა.

დემოგრაფიული ზრდა და მზარდი ურბანიზაცია იწვევს თანაცხოვრების ახალი გზების შემუშავების აუცილებლობას. მონაწილეობითი დიზაინის პროცესები ასევე ხელს უწყობს საცხოვრებლის ახალი მოდელების შექმნას და უზრუნველყოფს მათ მდგრად სოციალურ და ეკონომიკურ ადაპტაციას.

განაშენიანებულ გარემოს კულტურული სიმდიდრე გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით. კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვე შემოქმედება ერთად ქმნის განაშენიანებულ გარემოს კულტურულ ღირებულებას. ახალი შენობები, ინფრასტრუქტურა და საჯარო სივრცე უნდა აშენდეს ადგილობრივი დაგეგმვის კონტექსტის გათვალისწინებით. კონსტრუქციებმა უნდა

გაითვალისწინონ თავიანთი გარეუბნები და მასშტაბის, ტიპოლოგიისა და მასალის ადგილობრივი თვისებებისა და მახასიათებლების შესაბამისად განვითარდნენ.

სპეციფიკური, არასტანდარტული გადაწყვეტილებები აძლიერებს დიზაინის მრავალფეროვნებას, რითაც ხელი ეშვება რეგიონალური განსხვავებების გამყარებას. ამიტომ, დიზაინის ტრადიცია და ტექნოლოგიური ინოვაცია ემსახურება მაღალხარისხიანი თანამედროვე სამუშაოების დაწყებას. მაღალი ხარისხის ოსტატი უზრუნველყოფს შენობების ინფრასტრუქტურისა და საჯარო სივრცის გრძელვადიანობას, ამცირებს მათ შენარჩუნებას და საგრძნობლად ზრდის მათ მდგრადობას.

ტოპოგრაფიული, მორფოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურები ქმნიან ქალაქის, სოფლის ან ლანდშაფტის ხასიათს და საფუძველს უქმნიან მის კულტურულ იდენტობას. განაშენიანებული გარემოს ავთენტურობა ხასიათდება არა მხოლოდ მისი კონსტრუქციით, არამედ საფუძვლიანად მისი სოციალური საფართიდან.

ეკონომიკური დინამიკის შენარჩუნება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა საცხოვრებლისა და სამუშაო გარემოს, როგორც ხარისხიანი დასახლებისთვის. მაღალი ხარისხის კონსტრუქცია აფასებს ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ მოთხოვნებს გარემოზე და სოციალურ სტრუქტურებზე ზემოქმედების კუთხით და ხელს უწყობს განვითარებას ისე, რომ უფრო ხილდება კულტურული იდენტობისთვის აუცილებელ გამოხატულებებს.

მაღალი ხარისხის განაშენიანებული გარემო ასევე ავითარებს გრძელვადიან ეკონომიკურ დამატებით ღირებულებას, რითაც ხელს უწყობს კომერციული განვითარებისთვის პირობების გაუმჯობესებას. სოციალური ეფექტი, როგორცაა კეთილდღეობის ზოგადი გაუმჯობესება, უბიძგებს სტაბილურობისკენ და ხელს უწყობს სოციალურ ერთიანობასა და ინტეგრაციას, რაც თავის მხრივ აუმჯობესებს ეკონომიკურ პროდუქტიულობას. უფრო მეტიც, მაღალი ხარისხის კონსტრუქცია იცავს გარემოს და ბუნებრივ რესურსებს, დადებითი შედეგების საფუძველზე მომავალი თაობების ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. მაღალი ხარისხის განაშენიანებული გარემო ასევე მომგებიანია ეკონომიკური თვალსაზრისით; ხარისხი არ ზრდის ღირებულებას, არამედ ქმნის დამატებით ღირებულებას. მაგალითად, კონსტრუქციის ადგილსამყოფელი და ხარისხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი სავაჭრო და ეკონომიკური სექტორისთვის, როგორცაა უძრავი ქონების ბაზარი და ტურიზმი.

საბოლოოდ, კერძო სექტორისთვის, განაშენიანებული გარემოს ხარისხზე სოციალურად და ეთიკურად პასუხისმგებლური დამოკიდებულება არ უნდა აჭარბებდეს მისი იმიჯის პოტენციალს, რამაც შეიძლება პირდაპირი გავლენა იქონიოს მოგებაზე.

შესაბამისად, მაღალი ხარისხის გარემო ასრულებს არა მხოლოდ ფუნქციურ და ეკონომიკურ მოთხოვნებს მაღალ დონეზე, არამედ აკმაყოფილებს სოციალურ და ფსიქოლოგიურ, კერძოდ, მოსახლეობის და მომხმარებლების კულტურულ საჭიროებებს. ეს მისი საზოგადოების ესთეტიკური სტიმულაციაა. ხალხის კულტურული საჭიროებების შესრულება დამოკიდებულია იმ სივრცის გარეგნულ იერსახეზე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. განაშენიანებული გარემოს დიზაინი, ობიექტებისა და მათი აშენებული და ბუნებრივი შემოგარენის ურთიერთობები, სივრცითი თანხვედრა, მასშტაბი, მასალა: ეს არის ყველა ფაქტორი, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ხალხის კეთილდღეობაზე და განსაზღვრავს ამ სივრცის ხარისხს. მაღალი ხარისხი ხელს

უწყობს კეთილდღეობას. ამის მიღწევა შესაძლებელია თითოეული ადგილისთვის განსაზღვრული ზომებით და შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით, თუ ადგილობრივად-სპეციფიკური სივრცესთან და გარემოსთან დაკავშირებული ადამიანური მოთხოვნები იქნება გათვალისწინებული ძირითად მიზნებში. ყველა დარგში საჭიროა პროფესიული ცოდნა, რათა შესაძლებელი იყოს ამ მიზნების მაქსიმალურად მიღწევა. ამ პროცესში თანაბარი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სივრცის სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის გააზრებას. ამ გზით განაშენიანებული გარემოს შექმნა, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინება და მათი კეთილდღეობის წინა პლანზე წამოწევა და მათთან ერთად საკითხების განხილვა, დაგვაახლოვებს მაღალ ხარისხთან, რაც უნდა გამოვიყენოთ ნებისმიერი დაგეგმილი მშენებლობისა და განვითარებისთვის, როგორც სტრატეგიული იმპერატივი.

4 მშენებლობის კულტურის კონცეფცია

მშენებლობის კულტურა, როგორც კულტურული იდენტობისა და მრავალფეროვნების ასპექტი, მხარს უჭერს ადამიანის ისეთ საქმიანობას, რომელიც ცვლის განაშენიანებული გარემოს, მათ შორის ყველა აშენებულ და დაპროექტებულ ობიექტს, რომელიც დაკავშირებულია ბუნებრივ გარემოსთან. მშენებლობის კულტურა მოითხოვს თანამედროვე შემოქმედებას და არსებულ შენობებს, ინფრასტრუქტურას და საჯარო სივრცეს, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება მათი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, რომელიც უნდა აღიქმებოდეს მთლიანობაში. ამგვარად, მშენებლობის კულტურა ეხება როგორც დეტალურ სამშენებლო მეთოდს, ასევე ფართომასშტაბიან ტრანსფორმაციებს და განვითარებას, რაც მოიცავს ტრადიციული და ადგილობრივი მშენებლობის უნარებს, ასევე ინოვაციურ ტექნიკას.

კონფერენციისა და დეკლარაციის მიხედვით, მშენებლობის კულტურის კონცეფციას სამი ძირითადი ასპექტი განსაზღვრავს:

1. არსებული კონსტრუქცია, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის აქტივები და თანამედროვე შემოქმედება, რომელიც უნდა აღიქმებოდეს მთლიანობაში. არსებული მშენებლობები წარმოადგენს მშენებლობის კულტურის მნიშვნელოვან მაგალითს ჩვენი განაშენიანებული გარემოს მომავალი დიზაინისთვის.
2. ყველა საქმიანობა, რომელიც გავლენას ახდენს სამშენებლო გარემოზე, ოსტატობიდან დაწყებული პროექტების დაგეგმარებისა და შესრულებით დამთავრებული, რაც გავლენას ახდენს ლანდშაფტზე, განსაზღვრავს მშენებლობის კულტურას.
3. მშენებლობის კულტურა ეხება არა მხოლოდ განაშენიანებული გარემოს, არამედ მის შექმნაში ჩართულ პროცესებსაც.

ათასწლეულის დასაწყისიდან ტერმინი "მშენებლობის კულტურა" გამოიყენება გერმანულენოვან მსოფლიოში თავისი ყოვლისმომცველი გაგებით. გამომდინარე იქიდან, რომ ინგლისურში არ არის ამ კონცეფციის ზუსტად ეკვივალენტური ტერმინი, კონფერენცია გამოიყენებს გერმანულ ტერმინს „Baukultur“ ინგლისურ ენაზე. გერმანული ტერმინი შეირჩა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მსგავსი ტერმინების საწინააღმდეგოდ, როგორცაა არქიტექტურული ხარისხი, რათა კონცეფცია არ შემოფარგლიყო მხოლოდ არქიტექტურით.

საერთაშორისო პოლიტიკურ კონტექსტში, კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სფეროები იკვეთებიან, თუმცა ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და, ზოგჯერ, ერთმანეთს კონკურენციასაც უწევენ. განაშენიანებული გარემოს ხარისხის კულტურული ფასეულობა, როცა კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვე შემოქმედება აღიქმება მთლიანობაში, ძნელად განისაზღვრება, როგორც პოლიტიკური მიზანი. დავოსის დეკლარაცია მიმართავს სწორედ ამ სიცარიელეს და გვთავაზობს მშენებლობის კულტურის ყოვლისმომცველ კონცეფციას, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის მოვლასა და შენარჩუნებას და გარემოს ჩამოყალიბებას განიხილავს, როგორც ერთ მთლიან მშენებლობასა და განვითარებას, და ჩვენი განაშენიანებული გარემოს გარეგნული იერსახის გათვალისწინებით ავითარებს კულტურულ მოლოდინებს საერთო კეთილდღეობის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის კულტურის კონცეფცია ეხება ბევრ ისეთ საქმიანობას და პროცესებს, რომელიც გავლენას ახდენს სივრცით გარემოზე, ეს არ ნიშნავს მისი ღირებულების

შეფასებას. ტერმინი "მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა", გამოხატავს გაუმჯობესებული, მაღალი ხარისხის განაშენიანებულ გარემოს.

ამიტომ, მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა გამოიყენება გონივრულად, კარგად განხილული, მაღალი ხარისხის დიზაინის განმარტებისთვის ყველა სამშენებლო და ლანდშაფტური საქმიანობებისთვის, რაც უზრუნველყოფს კულტურული ღირებულებების მაღალ დონეზე განთავსებას და ადამიანის სოციალური და კულტურული საჭიროებების/მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა მიზანია შექმნას და შეინარჩუნოს მაღალი ხარისხის განაშენიანებული გარემო. ეს ხარისხი ავითარებს უმნიშვნელოვანეს სოციალურ ღირებულებებს, როგორცაა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, კეთილდღეობა, სოციალური ერთიანობა და სოციალური ინტეგრაცია. მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ, მოწესრიგებულ საცხოვრებელს, მათ შორის აქტიურ და კეთილგანწყობილ სამეზობლოს და თაობებისთვის ქმნის დამატებითი ღირებულების შესაძლებლობებს.

თავისი ხედვით, რომელიც მოიცავს მთლიანად განაშენიანებულ გარემოს და საერთო კეთილდღეობისკენ არის მიმართული, მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის კონცეფცია მნიშვნელოვან როლს ანიჭებს მდგრადობის იდეას.

5 მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა, როგორც საერთო კეთილდღეობა და საერთო პასუხისმგებლობა

მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა არის საერთო კეთილდღეობა და ამით წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესს. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ შეგნებული მიდგომით, რაც მოიცავს მთავრობებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობას. ყველა შესაბამისმა საჯარო და კერძო დაინტერესებულმა მხარემ უნდა აიღოს ერთობლივი პასუხისმგებლობა.

სახელმწიფო ორგანოების, როგორცაა სახელმწიფოები, მთავრობები, ხელისუფლება და ადმინისტრაციები, მოვალეობაა მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის ჩარჩოების ჩამოყალიბება. ისინი ხელმძღვანელობენ მშენებლობის კულტურის მაღალი ხარისხის შესახებ საკუთარი ხედვით, რაც იქნება მათი მიზანი. ამ მიზნის მისაღწევად, საჭიროა მისი გაზიარება პოლიტიკოსებთან, საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ლიდერებთან. ყველა დაინტერესებულმა მხარემ, მაგალითად, მთავრობებმა, ადმინისტრაციებმა და ორგანიზაციებმა, კერძო სექტორმა, ბიზნესმენებმა, მეცნიერებმა და კერძო პირებმა, ექსპერტებმა და ფართო საზოგადოებამაც, უნდა გაიაზროს მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის საერთო კეთილდღეობა და თავიანთ თავზე აიღონ ამაზე ზრუნვის პასუხისმგებლობა.

მონაწილეობითი მმართველობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ასოცირებული მონაწილეობა გამოიწვევს განაშენიანებულ გარემოსთან უკეთესად იდენტიფიცირებას და, შესაბამისად, მისი დიზაინისა და შენარჩუნების საკითხებზე საერთო პასუხისმგებლობას.

საბოლოოდ, ყველას გვაკისრია პასუხისმგებლობა ისტორიულ და თანამედროვე მშენებლობის კულტურაზე, რაც მომავალ თაობებს გადაეცემათ მემკვიდრეობად. ჩვენ შეგვიძლია მოვახდინოთ დადებითი ან უარყოფითი გავლენა ამ მემკვიდრეობაზე. შთამომავლობა გვაძლევს

ანგარიშგებას. მსოფლიო მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურით არის მდგრადი მსოფლიო, სადაც ღირს ცხოვრება.

6. მოწოდება მოქმედებისკენ: დავოსის დეკლარაცია 2018

კულტურის მინისტრთა კონფერენცია ყოვლისმომცველი მშენებლობის კულტურის შესახებ, რომელიც განიხილავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას და განაშენიანებელი გარემოს სრულყოფილ დიზაინსა და დაგეგმარებას, როგორც ერთ მთლიანს, და რომელიც პასუხობს კულტურულ მოლოდინებს განაშენიანებელი გარემოს საშუალებით, შეძლებს მიმდინარე საერთაშორისო დისკუსიის გამართვას, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, ასევე მიმდინარე დაგეგმარების, დიზაინისა და მშენებლობის თვალსაზრისით და აიღებს მიმართულების ახალ კურსს.

დავოსის დეკლარაცია აყალიბებს მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის ევროპულ ხედვას, მოუწოდებს ერთობლივი ძალისხმევისკენ და იყენებს ყველა შესაძლო გზას მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის შექმნის მიზნით ევროპელი ხალხის საერთო კეთილდღეობისთვის.

ნორმატიული პრინციპები და პოლიტიკა

მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა შეიძლება მიღწეულ იქნეს მკაფიოდ გამოხატული და თანმიმდევრული სწრაფვით მაღალი და ყოვლისმომცველი ხარისხის მისაღწევად განაშენიანებელ გარემოში. ეს იმას ნიშნავს, რომ დაგეგმვის, დიზაინისა და მშენებლობის სამართლებრივი პრინციპები უნდა ითვალისწინებდეს მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურას, როგორც ფუნდამენტურ მიზანს, რომელიც აუცილებელია ყველა ზონისა და სივრცითი ამოცანისთვის და მოიცავს სამართლიან შესყიდვას. მომავალი ქმედებები უნდა პასუხობდეს მაღალი ხარისხის სტანდარტებს და ითვალისწინებდეს წინასწარ არსებულ მახასიათებლებს. ამას არ უნდა ფარავდეს ეკონომიკური ან ტექნიკური ინტერესები.

ინტერდისციპლინარული დისკუსიის გაძლიერება

მშენებლობის კულტურა მოიცავს როგორც დიზაინის თავისებურებებს, ასევე ფუნქციურ და სოციალურ ასპექტებს. მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის მიღწევა შესაძლებელია, თუ ყველა შესაბამისი დისციპლინები ჩართულია ინტერდისციპლინარულ დისკუსიაში. განსაკუთრებით, სივრცის სოციოლოგია და ფსიქოლოგია, ასევე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები, მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს დაგეგმვისა და მშენებლობის პროცესში. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მაღალი ხარისხის უფრო მკაფიოდ განსაზღვრისა და კონტროლის საქმეში, რაც ადეკვატურად ასახავს ხალხის კულტურული საჭიროებების შესრულებას. ყველა სხვა დაინტერესებულ ექსპერტთან თანამშრომლობით, ეს ხელს შეუწყობს მაღალი ხარისხის ფორმალური დიზაინის ჩამოყალიბებას ისევე, როგორც ინტერდისციპლინარული დიზაინის კონკურსები.

მონაწილეობითი მმართველობა

მონაწილეობითი პროცესები, ქვედა დონის პროცედურები და სხვა ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები ხელს შეუწყობს მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურას, თუ ყველა მონაწილეს აქვს საჭირო შესაძლებლობები და კომპეტენციები. მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურა მოითხოვს ასეთი მონაწილეობითი პროცესების გაძლიერებას, რომელიც მოიცავს უფროს თაობას და ინფორმირებულ საზოგადოებას. ყველა ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურა, რომელსაც მონიტორინგს უკეთებს და მართავს ყველა დაინტერესებული დისციპლინის ექსპერტი და რომელთა შედეგების საფუძველია გაფართოებული კონსულტაციები, აღწევს მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურას.

განათლება და ურთიერთობა

ამგვარად, მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის მიღწევა მიზნად ისახავს დაგეგმვის, დიზაინისა და მშენებლობის პროფესიონალების, პოლიტიკოსების, ეკონომიკური ლიდერების და ზოგადი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, ერთი მხრივ და მეორე მხრივ, სიტუაციაზე მორგებით და სხვა შესაბამის დონეზე შესაძლებლობების განვითარებას. სასწავლო პროგრამა უნდა შეიცავდეს მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურისკონცეფციას ყველა შესაბამის საგანმანათლებლო დონეზე, ხელი შეუწყოს ტრადიციულ, ტექნიკურ და პროფესიულ უნარებს და მხარი დაუჭიროს ინოვაციას. ზოგადი განათლების სფეროში შესაძლებელი უნდა იყოს ევროპული საზოგადოებისთვის მშენებლობის კულტურისა და დიზაინის ხარისხზე გადაწყვეტილებების მიღება. ყველა დაინტერესებულმა მხარემ, მათ შორის კერძო სექტორმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ჩვენი განაშენიანებული გარემოს ხარისხზე, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა მომავალ თაობებს.

7 დანართი: საერთაშორისო პოლიტიკა განაშენიანებულ გარემოსთან დაკავშირებით

შემდეგი კვლევა წარმოადგენს შერჩეულ საერთაშორისო პოლიტიკას, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ეხება მშენებლობის კულტურის კითხვებს. იგი კონცენტრირებულია პოლიტიკური დონის მრავალმხრივ შეთანხმებებზე და არ შეიცავს დოკუმენტებს, რომელიც გაცემულია საკონსულტაციო ან საექსპერტო ორგანოების მიერ. წარმოდგენილი პოლიტიკა არის, როგორც დავოსის დეკლარაციის კონტექსტი, ასევე მისი მნიშვნელოვანი საფუძველი. ამ ტექსტების გადახედვით ნათელი ხდება დღემდე განხილული ხარვეზები, ასევე, დავოსის დეკლარაციის აუცილებლობა, რომელიც ხაზს უსვამს განაშენიანებული გარემოს ხარისხსა და მაღალი ხარისხის მშენებლობის კულტურის კონცეფციას, როგორც ევროპის განაშენიანებული გარემოს განვითარებისთვის საჭირო თემებს.

გაერთიანებული ერები

ახალი ურბანული დღის წესრიგი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია დაბინავებისა და მდგრადი ურბანული განვითარების შესახებ. ჰაბიტატ III კიტო, 17 - 20 ოქტომბერი, 2016

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახლების პროგრამამ, გაეროს ჰაბიტატი, 2016 წელს მიიღო ახალი ურბანული დღის წესრიგი ჰაბიტატის III კონფერენციის ფარგლებში, რომელიც ასახავს ზოგადი განვითარების მიზნებს და აქცენტს აკეთებს მმართველობის, სოციალური ინტეგრაციისა და გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე. მსოფლიოს მასშტაბური ურბანიზაციის გამო, ურბანული ტერიტორიები ყველაზე მეტად მოითხოვენ ჩარევას. დღის წესრიგი მოიცავს მაღალი ხარისხის საჯარო სივრცეების გამოყენებას მდგრადობისა და ასევე მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ასამაღლებლად. ახალი ურბანული დღის წესრიგი აღიარებს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მნიშვნელობას.

<http://habitat3.org/wp-content/uploads/NUA-English.pdf>

ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის მდგრადი განვითარების პროგრამა. გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია, ნიუ იორკი, 2015 წლის 25 სექტემბერი

2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ფარგლებში, გაერო თანხმად რამდენიმე მიზნისა და ამოცანის შესრულებაზე. მიზანი 11 მიზნად ისახავს "უზრუნველყოს ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიურობა, უსაფრთხოება, სტაბილურობა და მდგრადობა". ამის მიზანია უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საცხოვრებელი და სატრანსპორტო საშუალებები, მონაწილეობითი, ინტეგრირებული და ინკლუზიური დასახლების დაგეგმვა და ურბანული განვითარება, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა, ინკლუზიური და ხელმისაწვდომი მწვანე და საჯარო სივრცეების უზრუნველყოფა.

<https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/21252030%20Agenda%20for%20Sustainable%20Development%20web.pdf>

კონვენცია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და გარემოსდაცვით საკითხებში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), ორჰუსი, 1998 წლის 25 ივნისი

ორჰუსის კონვენცია იცავს ადამიანის უფლებას იცხოვროს ჯანსაღ გარემოში. იგი განსაზღვრავს ხალხის უფლებებს გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და ხელს უწყობს საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას.

<http://www.unece.org/fileadmin/DAM/env/pp/documents/cep43e.pdf>

იუნესკო

ჰანგზუს დეკლარაცია. კულტურის ცენტრალური როლი მდგრადი განვითარების პოლიტიკაში. ჰანგზუს საერთაშორისო კონგრესი, ჩინეთი, 15-17 მაისი 2013

ჰანგზუს დეკლარაცია ხაზს უსვამს მდგრადი განვითარების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საქმეში კულტურის მნიშვნელოვან როლს და მხარს უჭერს კულტურის სრულ ინტეგრაციას განვითარების ყველა პოლიტიკასა და პროგრამაში.

<http://www.unesco.org/fileadmin/MULTIMEDIA/HQ/CLT/images/FinalHangzhouDeclaration20130517.pdf>

რეკომენდაცია ისტორიული ურბანული ლანდშაფტის შესახებ. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო), პარიზი, 10 ნოემბერი 2011

ისტორიული ურბანული ტერიტორიების განსაკუთრებული ღირებულება ხაზგასმულია იუნესკოს რეკომენდაციაში ისტორიული ურბანული ლანდშაფტის შესახებ. ის აღიარებს კულტურულ მემკვიდრეობას, როგორც მნიშვნელოვან ხელშემწყობს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის, ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური ინტეგრაციისთვის ცვალებად გარემოში. იგი ითვალისწინებს ისტორიული ურბანული ტერიტორიების კონსერვაციის, მართვისა და დაგეგმვის სტრატეგიების ინტეგრირებას ადგილობრივი და ურბანული განვითარების პროცესებში, რათა ავირიდოთ სწრაფი და უკონტროლო ურბანიზაცია.

http://portal.unesco.org/en/ev.php-URL_ID=48857&URL_DO=DO_TOPIC&URL_SECTION=201.html

კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო), 17 ოქტომბერი, 2003

კონვენციის მიზანია, უზრუნველყოს თემების, ჯგუფებისა და ინდივიდუალური პირების არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. კონვენციის კონტექსტში, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს არა მხოლოდ პრაქტიკას, წარმომადგენლობებს, გამოთქმებს, ცოდნასა და უნარებს, არამედ შესაბამის ინსტრუმენტებს, ნივთებს, არტეფაქტებს და კულტურულ სივრცეებს. კონვენცია ხელს უწყობს ცოდნისა და უნარების გადაცემას და ხელს უწყობს კულტურულ მრავალფეროვნებასა და კულტურათაშორის დიალოგს.

<https://ich.unesco.org/en/convention>

კონვენცია მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო), პარიზი, 1972 წლის 16 ნოემბერი

მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის კონვენცია მიზნად ისახავს მომავალი თაობებისათვის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის, როგორც ზოგადსაკაცობრიო უნივერსალური ღირებულების, როგორც კაცობრიობის მსოფლიო მემკვიდრეობის ნაწილის დაცვას. ამის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხა.

<http://whc.unesco.org/archive/convention-en.pdf>

კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული საკუთრების დაცვის შესახებ. გაერთიანებული ერები განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო), ჰააგა, 1954 წლის 14 მაისი

შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ ჰააგის კონვენცია მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას დაზიანებისგან ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს და ძარცვისა და უკანონო ყადაღის სხვა ფორმებისგან. 1954 წელს და 1999 წელს მიღებულ იქნა დამატებითი შეთანხმებების ორი ოქმი. გარდა იმისა, რომ შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული მემკვიდრეობა და მათ მიმართ პატივისცემის ზომები უნდა იყოს დაცული, შეთანხმება ასევე მოიცავს სამშვიდობო ზომებს, როგორცაა ინვენტარის მომზადება და საგანგებო ღონისძიებები.

<http://www.unesco.org/new/en/culture/themes/armed-conflict-and-heritage/convention-and-protocols/1954-hague-convention/>

ევროპის საბჭო

ევროპის კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგია 21-ე საუკუნეში (ნამურის სტრატეგია), 2017

2017 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო კულტურის, მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის (CDCPP) კომიტეტის მიერ 2016 წელს შემუშავებული რეკომენდაცია (CM / rec (2017) 1) ევროპის კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგია 21-ე საუკუნეში. სტრატეგია უბრუნდება 2015 წელს ნამურში ბელგიის მიერ ორგანიზებულ მინისტრთა კონფერენციას, სადაც მიღებულ იქნა დეკლარაცია. იგი მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის კარგ მმართველობასა და სოციალურ მონაწილეობას და ამით მისი პოზიტიური გავლენის გააუმჯობესებას საზოგადოებაზე.

<http://www.coe.int/en/web/culture-and-heritage/strategy-21>

<https://rm.coe.int/16806a89ae>

ნაფლიოს დეკლარაცია: ტერიტორიული დემოკრატიის ხელშეწყობა სივრცით დაგეგმარებაში, 2014 წელი. ევროპის საბჭო სივრცითი/რეგიონალური დაგეგმარების (CEMAT) პასუხისმგებელ მინისტრთა ევროპის კონფერენცია, ნაფლიო, 17 ივნისი, 2014

ნაფლიოს დეკლარაცია უზრუნველყოფს სახელმძღვანელო პრინციპებს, რათა ხელი შეუწყოს მონაწილეობითი დემოკრატიის პოტენციალს სივრცითი დაგეგმარების პროცესში. დეკლარაცია განსაზღვრავს ჩარჩოს, სადაც ადამიანებს შეუძლიათ გამოხატონ მოსაზრებები სივრცითი დაგეგმარების შესახებ, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად მოქმედებენ და/ან სხვადასხვა ხარისხით გავლენას ახდენენ, მათი ტერიტორიების სივრცით დაგეგმვაზე.

<http://www.ectp-ceu.eu/images/stories/PDF->

[docs/16th%20CEMAT%20Naphlio%20declaration%202014.pdf](http://www.ectp-ceu.eu/images/stories/PDF-docs/16th%20CEMAT%20Naphlio%20declaration%202014.pdf)

ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია კულტურული მემკვიდრეობის ღირებულება საზოგადოებისთვის, ფარო, 2005 წლის 27 ოქტომბერი

ფაროს კონვენცია ხაზს უსვამს მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ასპექტებს, რადგან ისინი ეხება ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიას. ის განსაზღვრავს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობისა და საზოგადოების, ეკონომიკისა და გარემოს მდგრადი განვითარების საქმეში. ის მოუწოდებს შეიქმნას ჩარჩო, რომლის ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობა ექცევა საზოგადოების ყურადღების ცენტრში და ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის ხელმისაწვდომობას და მონაწილეობას საზოგადოებისთვის.

<https://rm.coe.int/1680083746>

ევროპული კონტინენტის მდგრადი სივრცითი განვითარების სახელმძღვანელო პრინციპები. რეგიონალური დაგეგმვის (CEMAT) პასუხისმგებელი მინისტრების ევროპული კონფერენცია, ჰანოვერი 7-8 ნოემბერი, 2000 წ

ევროპული კონტინენტის მდგრადი სივრცითი განვითარების სახელმძღვანელო პრინციპები მიზნად ისახავს ევროპის, ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას მისი ეკოლოგიური და კულტურული ფუნქციების ჰარმონიზაციით და ამ გზით გრძელვადიანი, მასშტაბური და დაბალანსებული სივრცითი განვითარების ხელშეწყობას. ამ კონტექსტში ხაზგასმით აღინიშნება აშენებული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა მდგრადი განვითარებისთვის. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს არ არის მხოლოდ წარსულის კონსერვაცია, არამედ თანამედროვე არქიტექტურის, ურბანული დიზაინისა და კულტურულ მემკვიდრეობას შორის ჰარმონია.

http://www.mdrap.ro/documente/dezvoltare_teritoriala/documente_strategice/Sustainable%20Spatial%20Development.pdf

ევროპის ლანდშაფტის კონვენცია, ფლორენცია, 2000 წლის 20 ოქტომბერი

ევროპის ლანდშაფტის კონვენცია ეფუძნება ლანდშაფტის ფართო გაგებას. იგი მოიცავს ყველა დონის ლანდშაფტს, მათ შორის ბუნებრივს, სოფლის, ურბანულს და გარეუბნის ლანდშაფტებს. გარდა ლამაზი და დაცული ლანდშაფტებისა, ასევე ხაზს უსვამს ლანდშაფტის ხარისხს ზოგადად მრავალფეროვანი ბუნებრივი და კულტურული ევროპული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის. იგი სტიმულს აძლევს მთლიანი ლანდშაფტის გაფრთხილების ზომების მიღებას, რაც მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ურბანულ და პერი-ურბანულ ადგილებში.

<https://rm.coe.int/1680080621>

ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენცია (ევროპული ხელშეკრულების სერია -№ 121). გრანადა, 3 ოქტომბერი 1985

გრანადის კონვენცია მიმართავს მშენებლობების ხარისხის მნიშვნელობას. მისი მთავარი მიზანია ევროპის კულტურული მემკვიდრეობის გაძლიერება საკონსერვაციო პოლიტიკის ხელშეწყობით. ეს არის პირველი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ინტეგრირებული კონსერვაციის პრინციპებს. იგი ხაზს უსვამს, რომ არქიტექტურული მემკვიდრეობა წარმოადგენს ევროპის კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნების შეუსაბამო გამოხატვას და ადგენს "კონსერვაციის პოლიტიკის ევროპული კოორდინაციის" პრინციპებს, მათ შორის, არქიტექტურული შემოქმედების ხელშეწყობის საშუალებების შესახებ ინფორმაციის გაცვლას ევროპის კულტურული მემკვიდრეობისთვის გაწეული წვლილის სახით.

<http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/rms/090000168007a087>

ევროპული რეგიონალური/სივრცითი დაგეგმარების ქარტია. რეგიონალურ დაგეგმარებაზე პასუხისმგებელ მინისტრთა ევროპული კონფერენცია (CEMAT), Torremolinos, 20 მაისი 1983

Torremolinos- ის ქარტიის მიზანია სივრცითი დაგეგმარების შესახებ თანამშრომლობის გაღრმავება და ინფორმაციის გაცვლა. იგი ხაზს უსვამს რეგიონალური/სივრცითი დაგეგმარების წვლილს ევროპული იდენტობისთვის ევროპაში უკეთესი სივრცითი დაგეგმარების საშუალებით. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველა ევროპელი მოქალაქე უნდა იყოს ჩართული რეგიონალური/სივრცითი დაგეგმარების ღონისძიებებში.

https://www.are.admin.ch/dam/are/de/dokumente/internationales/dokumente/bericht/european_regionalspatialplanningchartertorremolinoscharter.pdf.download.pdf/european_regionalspatialplanningchartertorremolinoscharter.pdf

ევროპის კულტურული კონვენცია, პარიზი, 19 დეკემბერი 1954

ევროპის კულტურული კონვენცია იყო ერთობლივი ევროპული კულტურული მემკვიდრეობის კონცეფციის საფუძველი და ომის შემდგომ ევროპაში საფუძველი ჩაუყარა კულტურულ-პოლიტიკურ თანამშრომლობას. კონვენცია მიზნად ისახავს ევროპის ხალხებს შორის ურთიერთგაგების გაღრმავებას და სხვადასხვა კულტურისადმი მადლიერების განცდის უზრუნველყოფას.

<http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/018>

ევროკავშირი

ურბანული დღის წესრიგი ევროკავშირის 'ამსტერდამის პაკტი'-სთვის. ურბანულ საკითხებზე პასუხისმგებელ ევროპელ მინისტრთა არაფორმალური შეხვედრა, ამსტერდამში, 2016 წლის 30 მაისს

ამსტერდამის პაქტი მიზნად ისახავს მდგრადი პოლიტიკის პირობებს საცხოვრებელი გარემოს შექმნისთვის და ადგენს ურბანულ დღის წესრიგს ევროკავშირისთვის. ამსტერდამის პაქტი ეხება გარემოს შექმნის სოციალურ, დაგეგმვისა და ფინანსურ ასპექტებს.

http://ec.europa.eu/regional_policy/sources/policy/themes/urban-development/agenda/pact-of-amsterdam.pdf

საბჭოს დასკვნები კულტურული მემკვიდრეობის მონაწილეობითი მმართველობის შესახებ (2014 / C 463/01). ევროკავშირის საბჭო, 2014 წლის 23 დეკემბერი

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, 2014 წლის 21 მაისის საბჭოს დასკვნები, როგორც მდგრადი ევროპის სტრატეგიული რესურსი, ხელს უწყობს კულტურული პოლიტიკის შემუშავების პროცესში უფრო მეტ მონაწილეობას.

[http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52014XG1223\(01\)&from=EN](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52014XG1223(01)&from=EN)

კომისიის კომუნიკაცია ევროპულ პარლამენტთან, საბჭოსთან, ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტსა და რეგიონების კომიტეტთან - ევროპის კულტურული მემკვიდრეობის ინტეგრირებული მიდგომის შესახებ (COM (2014) 477). ევროკომისია, ბრიუსელი, 2014 წლის 22 ივლისი

კომუნიკაცია ხაზს უსვამს კულტურული მემკვიდრეობის, როგორც სტრატეგიული რესურსის გავლენას მდგრადი ევროპისათვის. იგი ხაზს უსვამს ქვეყნებს შორის ძლიერ თანამშრომლობას კულტურული მემკვიდრეობის წვლილის გასაძლიერებლად მდგრადი ზრდისა და დასაქმებისთვის.

http://ec.europa.eu/assets/eac/culture/library/publications/2014-heritage-communication_en.pdf

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ დასკვნები, როგორც მდგრადი ევროპის სტრატეგიული რესურსი. განათლების, ახალგაზრდობის, კულტურისა და სპორტის საბჭოს სხდომა, ბრიუსელი, 21 მაისი, 2014

დასკვნები ხაზს უსვამს კულტურული მემკვიდრეობის როლს, როგორც ევროპისთვის შეუცვლელ და ძვირფას რესურსს. დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ კულტურული მემკვიდრეობა აძლიერებს ცხოვრების ხარისხს, ხელს უწყობს სოციალურ ჩართულობას და, მისი ეკონომიკური გავლენის ძალით, მხარს უჭერს სოფლის და ურბანული ტერიტორიების მდგრად განვითარებას და რეგენერაციას.

https://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/en/educ/142705.pdf

საბჭოს დასკვნები არქიტექტურის შესახებ: კულტურის წვლილი მდგრადი განვითარებისათვის (2008 / C 319/05). ევროკავშირის საბჭო, 2008 წლის 20 ნოემბერი

დასკვნები ხაზს უსვამს არქიტექტურის კულტურულ მნიშვნელობას და ხაზს უსვამს კულტურის წვლილს მდგრადი განვითარებისათვის. ისინი მოუწოდებენ ყველა პოლიტიკურ დაინტერესებულ მხარეს, ხაზი გაუსვან არქიტექტურაში კულტურის კომპონენტს და განიხილონ მაღალი ხარისხის არქიტექტურა, როგორც ეკონომიკური დინამიკის ფაქტორი.

[http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52008XG1213\(02\)&from=DE](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52008XG1213(02)&from=DE)

ლაიფციგის ქარტია მდგრადი ევროპული ქალაქების შესახებ. ურბანული განვითარების და ტერიტორიული ინტეგრაციის შესახებ არაფორმალური მინისტერიალი. 24-25 მაისი 2007, ლაიფციგი

ლაიფციგის ქარტია ყურადღებას ამახვილებს ურბანული განვითარების ინტეგრირებულ პოლიტიკაზე და ხელს უწყობს მაღალი ხარისხის საჯარო სივრცის შექმნასა და შენარჩუნებას. მაღალი ხარისხის არქიტექტურა გულისხმობს მთლიანად ქალაქისა და მისი შემოგარენის აუცილებლობას.

<http://www.espon->

2001 წლის 12 თებერვლის საბჭოს დადგენილება არქიტექტურის ხარისხზე ურბანულ და სოფლის გარემოში. (2001 / C 73/04). ევროკავშირის საბჭო, 2001 წლის 12 თებერვალი

საბჭოს რეზოლუცია ითვალისწინებს მოთხოვნას მაღალი ხარისხის განაშენიანებული გარემოზე. იგი აღნიშნავს, რომ მაღალი ხარისხის არქიტექტურა აუმჯობესებს მოქალაქეთა საცხოვრებელ გარემოსა და მათ ურთიერთობას სოფელთან და ურბანულ შემოგარენთან და ეფექტური წვლილი შეაქვს სოციალური ინტეგრაციის საქმეში, ქმნის სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობს კულტურული ტურიზმის და რეგიონულ ეკონომიკურ განვითარებას.

[http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32001G0306\(03\)&from=EN](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32001G0306(03)&from=EN)

ESDP ევროპის სივრცითი განვითარების პერსპექტივა. სივრცით დაგეგმარებაზე პასუხისმგებელ მინისტრთა არაფორმალური საბჭოს შეხვედრა, პოტსდამი, 1999 წლის 11 მაისი

ESDP კულტურულ მრავალფეროვნებას აღიქვამს, როგორც ევროკავშირის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს და ევროპის კულტურულ მემკვიდრეობას ხედავს, როგორც ევროპის იდენტობის გამომხატველს. ჩამოყალიბებულია პრინციპები, რომელიც მოიცავს პოლიცენტრალურ სივრცით განვითარებას, ეს არის ურბანულ უბნებსა და სოფლებს შორის ახალი ურთიერთობა და ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ფრთხილი მართვა.

http://ec.europa.eu/regional_policy/sources/docoffic/official/reports/pdf/sum_en.pdf